საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №231

14 მარტი 2013 თბილისი, საქართველო

2013 წლის 14 მარტს 18:00 სთ-ზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფისში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდა საბჭოს 8 წევრი: ლევან გახელაძე, დავით კანდელაკი, ზაზა კორინთელი, ავთანდილ ანთიძე, ემზარ გოგუაძე, ზურაბ დავითაშვილი, ნატალია დვალი, მამუკა ფაჩუაშვილი. სხდომას არ ესწრებოდნენ: გიორგი მელაძე, ეკა მაზმიშვილი, ბაკურ სულაკაური, ოთარ კობერიძე და ნინო დანელია. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო, გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1.სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სატელიტური მომსახურების შესასყიდად კომპანიასთან TÜRKSAT UYDU HABERLEŞME KABLO TV VE İŞLETME A.Ş. ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

2.მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხი

სამეურვეო საბჭოს სხდომას, საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე უძღვებოდა, საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს გააცნო მაუყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ საბჭოს სახელზე გამოგზავნილი წერლის შინაარსი, რომელიც ეხებოდა მაუწყებელსა და კომპანია თუქსატს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებას (იხ.დანართი წერილი #864/01 13.03.2013წ) საკითხზე დეტალური ინფორმაციის გასაკეთებლად მიმდინარე სხდომაზე მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ბაქრაძე და მისი თანაშემწე ანა გოგობერიშვილი შემოვიდნენ, ინფორამციის მიწოდების გარდა მათ საბჭოს წევრებს განუმარტეს, რომ საკითხზე გადაწყვეტილება სასწრაფოდ იყო მისაღები და ამიტომ მიმართეს საბჭოს თხოვნით სხდომის დანიშვნისთვის. ზემო აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის მიწოდების დასრულების შემდგომ გიორგი ბაქრაძემ და ანა გოგობერიშვილმა სხდომა დატოვეს. საბჭოს თვმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სატელიტური მომსახურების შესასყიდად კომპანიასთან TÜRKSAT UYDU HABERLEŞME KABLO TV VE İŞLETME A.Ş. ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ, საკითხს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი (საბჭოს წევრების მიერ ხელმოწერილი გადწყევტილება ოქმს თან ერთვის).

მიმდინარე საკითხები

საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მაუწყებლის ყოფილი დირექტორის გიორგი ბარათაშვილის მიერ სასამართლოში გასაჩივრდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 4 მარტის #247 გადაწყვეტილება (ოქმი #229) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და შესაბამისად, სამეურვეო საბჭოსთვის უცნობია სასამართლოს მიერ აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით რა სახის შუალედური ან საბოლოო გადწყვეტილება იქნება მიღებული. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ზემო აღნიშნული საკითხის შესახებ და მოამზადეს წერილობითი განცხადება (იხ. დანართი საბჭოს განცხადება). ასევე საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადებაში ცვლილებების

შეტანის შესახებ. საკითხს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი (საბჭოს წევრების მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე კიდევ ერთი საკითხი დააყენა: კონკურსის შესაბამისად მაუწყებლის გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 03.08.2009 წ. #143 (ოქმი #122) გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. საკითხს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი (საბჭოს წევრების მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა 19:00 საათზე, შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობათ.

საბჭოს თავმჯდომარე	ლევან გახელაძე
სხდომის მდივანი	ირინე ზაქარიაშვილი

GEORGIAN
PUBLIC
BROADCASTER
საქართველოს საჯაროსამართლებრივი მაუწყებელი
GPB.GE

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ ლევან გახელაძეს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და სატელიტურ კომპანია „TURKSAT” ს შორის ა/წლის 16 მარტს ფორმდება ხელშეკრულება სატელიტურ მომსახურებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება სამი წლით-16.03.2013 - დან 31.03.2016 წლამდე, თვეში “TURKSAT”ისთვის გადასახდელი თანხა შეადგენს - 16 200 დოლარს.

ვინაიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა აღემატება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბიუჯეტის 1%, გთხოვთ მოიწვიოთ სამეურვეო საბჭოს სხდომა, განიხილოთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის დროებით

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ბაქრაძე

№ 864/01 13 03 2013

მ. ქოსტავას 68, თბილისი, 0171, საქართველო
68 M. Kostava Str., 0171, Tbilisi, Georgia; Tel./Fax: +995 32 2409 115 / 2409 221; E-mail: info@gpb.ge